https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.16

ცნობიერისა და არაცნობიერის არქეტიპები გურამ ფანჯიკიძის რომანებში: „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“ და „აქტიური მზის წელიწადი“

ARCHETYPES OF THE CONSCIOUS AND UNCONSCIOUS IN GURAM PANJIKIDZE'S NOVELS ('THE SEVENTH HEAVEN', 'THE PRECIOUS GEM' AND 'THE YEAR OF THE ACTIVE SUN')

თეა მაჭავარიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tea Matchavariani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The formation of an individual is achieved through the coordination of conscious and unconscious factors in their inner world. The harmonious or disharmonious relations among these factors contribute to the development of distinctly expressed characteristics, serving as a binding factor in the formation of individualism.

The reading of Soviet literary works necessitates a fresh reception, considering the chronotopical context of the era. This reevaluation will significantly alter the perspectives of critics and readers, not only on the narrator but also on the leading characters within the narrative, their characteristics and views, particularly the factors contributing to the conscious or unconscious contents formed in them. This reexamination holds particular interest for post-colonial (post-Soviet) countries, which, following a distinctly different political trajectory, are engaged in the quest for their lost national identity.

The analysis of the characters presented in Guram Panjikidze's novels ('The Precious Gem', and 'The Year of the Active Sun') shows that the complex process of personality formation is a version conditioned by the congruence of the conscious and unconscious. The influence of any authoritarian state is evident in the collective unconscious, a realm from which individuals seldom seek liberation. This article illustrates how Soviet ideology stifled individuality and independence in the person even in seemingly insignificant aspects. While the individual unconscious is, to some extent, controllable, largely influenced by the quality of upbringing, the same cannot be said for archetypes. Not everyone wishes to rid themselves of archetypes, let alone successfully do so. The awareness of failure inevitably leads to internal and subconscious alienation in an individual, as exemplified by the writer.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა, გურამ ფანჯიკიძის რომანები, მხატვრული რეცეფცია, საბჭოთა ტოტალიტარიზმი.
Keywords: Georgian literature of the Soviet period, Guram Panjikidze's novels, artistic reception, Soviet totalitarianism.

პიროვნების ფორმირება მის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცნობიერი თუ არაცნობიერი ფაქტორების კოორდინირებით მიიღწევა, რომელთა ჰარმონიული/დისჰარმონიული ურთიერთობები აყალიბებს მკვეთრად გამოხატულ ნიშან-თვისებებს, რაც განმპაპირობებელი ფაქტორია ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებისას. ერთსახოვნების ქაოსში (ფაქტობრივად, კაცობრიობის ყოფას წარმოადგენს) განსხვავებული სახეების აღმოჩენა-შექმნის სურვილი ნამდვილი ლიტერატურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მით უმეტეს, თუ მწერალიცა და გმირებიც ერთდროულად თანაარსებობენ ერთი და იმავე სახელმწიფოს/საზოგადოების მეტამორფოზირებულ დრო-სივრცეში. სუბიექტის მიერ რეალობის ხედვა, საკუთარი შინაარსების ფლობა, რა თქმა უნდა, კონსერვირდება ნებისმიერ პერსონაში და მასში არსებულ იმპულსებზე საუბარი ხელს უწყობს გარკვეული ტიპის რეცეფციას.

ავტორიტარული სახელმწიფოსაგან წარმოებული დეინდივიდუალი-ზაციის პროცესს, მიუხედავად ყველაფრისა, არ გააჩნია ძალა, რომ ხელი შეუშალოს ინდივიდში საკუთარი შინაარსების ფლობას, მხოლოდ ადამიანის ცნობიერის დამორჩილება ხელეწიფება, მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრავს და შემოსაზღვრავს მას, თუმცა მთლიანობის სრულად აღწერა შეუძლებელია, რადგან მასში განსხვავებული კურსით ვითარდება ექსტოფსიქიკური და ენდოფსიქიკური შინაარსები.

ინფორმაციის შემნახველი გენი უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად აკონტროლებს ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობას, რეაგირების გზას და განვითარების გენეტიკურ ინფორმაციას. მოლეკულურ დონეზე გენი არის დნმ-ის მონაკვეთი, რომელიც სინთეზისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას მოიცავს. საკვლევი თემისათვის საინტერესოა დნმ-ის რეპლიკაციისას წარმოქმილი ახალი კომპლემენტარული ლიდერი ჯაჭვი, რომელიც რეპლიკაციის ჩანგლიდან უწყვეტად სინთეზირდება არასასურველი გენის რედაქტირების გზით. აღნიშნულ სინთეზირებულ პატარ-პატარა ნაწილაკებს მეცნიერები ოკაზას ფრაგმენტებს უწოდებენ, ფსიქოანალიტიკოსები – არაცნობიერს.

პიროვნების ფსიქიკის ამ ბუნდოვან, ღრმა უბანში მიმდინარე პროცესებს სუბიექტი ვერ აკონტროლებს, რადგან აღნიშნული შინაარსების ფორმირება ყველასა და ყველაფრისგან დამოუკიდებლად ხდება. კარლ იუნგის აზრით, ცნობიერისათვის არაცნობიერი ყოველი პიროვნებაში არსებული რაღაც დამატებითია, განუსაზღვრელი მრავალი შინაარსის წარსულის მენტალური მდგომარეობის გადმონაშთი. არაცნობიერს მეცნიერი პიროვნულ და კოლექტიურ შინაარსებად აჯგუფებს:

პირველი წარმოადგენს მხოლოდ ამ ინდივიდის საკუთრებას (მასში შედის დავიწყებული თუ განდევნილი, ასევე შემოქმედებითი, აშკარად გაურკვეველი წარმომავლობის შინაარსები), კოლექტიური არაცნობიერი კი მთელი კაცობრიობის კუთვნილებად მოიაზრება და იუნგი მას არქეტიპებს ან უპიროვნო არაცნობიერსაც უწოდებს (იუნგი 2022: 1). არაცნობიერში ჩალექილი, ცნობიერებას მოწყვეტილი, განდევნილი და რეპრესირებული სურვილები მხოლოდ შედეგებში ვლინდება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მის ბევრ ფაქტს ცნობიერი არ ითვალისწინებს, ამჯობინებს, ისინი განდევნოს და მათგან ასე გათავისუფლდეს, სწორედ ეს ბადებს კონფლიქტებსა და წინაღმდეგობებს საკუთარ თავთან.

საბჭოთა ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა აუცილებლად საჭიროებს მათ ახლებურ რეცეფციას ეპოქის ქრონოტოპული არეალის გათვალისწინებით, რაც აბსოლუტურად შეცვლის კრიტიკისა და მკითხველის შეხედულებას არა მარტო ნარატორზე, არამედ ნარაციის წარმმართველ პერსონაჟებზე, მათ ხასიათებსა თუ შეხედულებებზე, მით უმეტეს, მათში ფორმირებული ცნობიერი თუ არაცნობიერი შინაარსების გამომწვევ ფაქტორებზე, რაც მეტად საინტერესო უნდა იყოს პოსტკოლონიური (პოსტსაბჭოთა) ქვეყნებისათვის, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური კურსით დასდგომიან დაკარგული ნაციონალური იდენტობის მოძიების გზას.

გურამ ფანჯიკიძის რომანები გასული საუკუნის „ეპოქის სულის გამომხატველობად“ მოიაზრებოდა, ამიტომაც ინტერესის საგნად იქცა, როგორ შეძლო აესახა სახელმწიფოს მიერ წარმოებული ზეწოლის ნებისმიერი ასპექტი საკუთარი პერსონაჟების ფორმირების პროცესში, რაც, უდავოდ, ზეგავლენას მოახდენდა მათ ჩამოყალიბებაზე, თან საბჭოთა აკრძალვების პირობებში, როცა სოციალისტური კოლექტიური არქეტიპების არსებობა არცკი განიხილებოდა. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ მისგან შექმნილი ტიპაჟების ხასიათებში იგრძნობა არსებულის კრიტიკული პათოსი, რისი განმაპირობებელი შეიძლება იყოს არა მარტო პიროვნულ, არამედ კოლექტიურ არაცნობიერში კონსტრუირებული რეპრესირებული კომპლექსები, რითაც აუცილებლად იქნებოდა ფორმირებული ინდივიდების ტრავმული პასაჟები. მაგრამ კოლექტიურ არქეტიპებზე ღიად და თამამად საუბარი მხოლოდ პოსტსაბჭოთა ეპოქაში გაბედეს, მათ შორის, მწერალმაც, რის გულახდილ რეცეფციასაც წარმოადგენს რომანი „ეშმაკის ბორბალი“. მანამდე გურამ ფანჯიკიძის რომანებში „ვახერხებთ“ იმის ამოკითხვას, რომ ნებისმიერი იდეოლოგია იმთავითვე ყალბია, მცდარია, დოგმატურია. ამ ერთადერთი რეალობის ცრუ თეორიებით დაცვა კი გამიზნულად ხდება, რომ ცნობიერება მეტად გააბუნდოვანოს.

თუ მწერლის პირველი რომანების მიხედვით ვიმსჯელებთ („თვალი პატიოსანი“, „აქტიური მზის წელიწადი“), ერთ საერთო შტრიხს აღმოვაჩენთ: მთავარი პერსონაჟები წარმოადგენენ იუნგისეული უპიროვნო არაცნობიერის რეალიზებულ ხატს, რითაც ფორმირდება არეალისაგან გამოცალკევებული, განსხვავებული ტიპი (აქტიური თუ პასიური პროტესტის განცდით), რომელიც უარს ამბობს საკუთარ სახელმწიფოსთან, როგორც კოლექტიურ „მე“-სთან გაიგივებაზე, რომლის უნივერსალური

კარნავალის ყოვლისწარმმართველი და ყოვლისმეთვალყურე ნება თავისი მოზეიმე გროტესკული განწყობით განსაზღვრავდა ადამიანის მოქმედების შესაძლებლობებსა და ბედისწერას. ვინც მასში არ მონაწილეობდა, ისჯებოდა (ცაგარელი 2013), მაგრამ ატრაქციონის დატოვების სურვილის რეპრესირებული ფორმით არსებობა ვერ აძლევს მიზნის მიღწევის საშუალებას. ნონკონფორმისტის ფსევდომენიპეური ნიღბით მებრძოლი, რა თქმა უნდა, მარცხდება, რის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს ლოკალურ სივრცეში ფორმირებული განდევნილი შრეები წარმოადგენს, ნეგატიურად ფორმირებული და წამოსული იმპულსები (იდეოლოგია სხვა კუთხით არ იძლეოდა ფორმირების საშუალებას) აუცილებლად შეუშლის ხელს გამარჯვებაში.

ორივე რომანის გმირების ტრავმულ ნარატივში შეიძლება განხილულ იქნეს პიროვნული არაცნობიერის მემკვიდრეობა, დაკარგული ოჯახური ურთიერთოები და სიყვარულის უგულებელყოფა. პერსონაჟები მარტო არიან, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით შესაძლოა ჰყავდეთ საჭირო ადამიანი, ისინი მათ არ ამჩნევენ. ეს არის იდეოლოგიის კიდევ ერთი შედეგი – ნდობის ნიველირება. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს ყველანაირი კავშირის რღვევის პროცესი. ტრადიცია ანაქრონიზმადაა ქცეული ან ფორმალური მხარე აქვს, პერსონაჟები ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ამ ფენომენისადმი – ოჯახის მითი არსად ჩანს, რასაც ხელი უნდა შეეწყო გაწონასწორებული პიროვნების ფსიქიკური ავტოპორტრეტის შექმნაში, ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარებოდა ინდივიდს, მიეღო დადებითი სოციალური ურთიერთობები სხვებისგან. ასეთი გარემო მეტ-ნაკლებად გარანტიაა ჰარმონიული პიროვნების ფორმირებისთვის.

როცა სუბიექტი უარს ამბობს თავის როლზე რიტუალში და ირჩევს საკუთარ გზას (Ланин 1993: 50), იწყება ქმედება, მაგრამ თავადაც ვერ აცნობიერებს, როგორ „იზრუნა“ მასზე ადრე იდეოლოგიამ, დაუმსხვრია ოჯახური ხატება და მისკენ წარმართა პიროვნული არაცნობიერის საბრძოლო მუხტი, რადგან ნებისმიერ იდეოლოგიას სჭირდება ადამიანი, რომლისთვისაც მხოლოდ ის გახდება საყრდენი, სანდოობისა და უსაფრთხოების განცდის მატარებელი. აქ კი უკვე ვიღებთ დეპერსონი-ზებულ ადამიანს, რომელშიც სახელმწიფომ შეძლო და ჩამოაყალიბა ოჯახის წევრებისადმი დაბალი ნდობა.

იაშვილების ოჯახის („თვალი პატიოსანი“) მაგალითზე შეგვიძლია სახელმწიფოსადმი აშკარად გამოხატულ მორჩილებაზე ვისაუბროთ, რისი განმაპირობებელიც უნდა იყოს შიში, ცნობიერიდან გამომდინარე, რომელსაც, რა თქმა უნდა, მართავს არაცნობიერი. ოჯახის უფროსი მხოლოდ იმით განსხვავდება შვილისაგან შეძულებული სამყაროსგან, რომ ბევრს არ ინდომებს, კმაყოფილდება ჩრდილში ყოფნით და კომფორტული ცხოვრებით. ეს შენიღბული ბოროტებაა, რომლის მიღმაც გონიერი და პატიოსანი თვალი აუცილებლად აღმოაჩენს ნამდვილ სახეს, იმას, ვისაც სურს სარგებელი მიიღოს, მაგრამ ისე, რომ სხვას თვალში არ მოხვდეს, მშვიდად არსებობდეს მცირედით, სხვაზე მეტით რომ დაკმაყოფილდეს.

გელოვანების ოჯახი („აქტიური მზის წელიწადი“) უკვე წარმოადგენს კულმინაციას დათითოებული და დაცლილი კერის, სადაც თვითგახსნის

ხარისხი განულებულია. შვილის გარდაცვალებით განცდილი ტკივილი ვერ ახერხებს მათ შეერთებას, პირიქით, მამის პერსონა „სხვა“ კავშირებსაც მოიცავს და უკანონო ნახევარძმასთან შეხვედრა ახალ ტრავმად აღიქმება. ნაცვლად იმისა, რომ თვითგახსნის ხარისხი მაღალი იყოს, პერსონაჟებს უჭირთ საკუთარ პრობლემებზე საუბარი საკუთარი თავის გარშემო. ნდობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ ვერ ახდენენ თავიანთი ქცევების მოსინჯვას, გრძნობის, აზრების, მოლოდინების, შიშებისა და იმედების გაზიარებას.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ოჯახისგან გენეტიკურად მიღებული ჰარმონიული ურთიერთობები ფსიქოთერაპიულ ფუნქციას ახორციელებენ სხვა კავშირებში: მეგობრობა და სიყვარული, რომელთა არსს დაცულობა, კომფორტი, მზრუნველობა წარმოადგენს. რომანებისათვის დამახასიათებელი უნდობობის ხარისხი მიზეზია უარყოფითი განცდების, რომლებიც არაცნობიერის სიღრმეში სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს და რომლის დაძლევა არ ძალუძს ამ შემთხვევებში ცნობიერს, რაც არის ერთ-ერთი მიზეზი ფანჯიკიძის პერსონაჟების მარცხის.

საბჭოეთისაგან დაპირებული პროლეტარიატი ნამდვილად დამყარდა – ქარხნებში ხალხი მუშაობდა, საბჭოთა კავშირმა დანაპირები აასრულა, მაგრამ სოციალური ფენები არ ემთხვეოდნენ ოფიციოზის მიერ გამოცხადებული სოციალური ფენების თარგს. ფენა ერქვა ინტელიგენციას, მუშები და გლეხები კი იყვნენ კლასი. თუ არსებულის თამამი გაცნობიერება არ ხდებოდა, ცალკეული ინდივიდების არაცნობიერი შრეები ახერხებდა მათ კონსერვაციას საჭირო დროს გააქტიურების მიზნით, რასაც არა მარტო საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ადამიანში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებშიც ვაწყდებოდით (მორჩილაძე 2014: 109). გამოდის, რომ საბჭოელი ხალხისათვის ბახტინისეული კარნავალი იყო თავისუფლება, რომელშიც ბათილდებოდა იერარქიული წყობა, უქმდებოდა სოციალური ფენები და ისპობოდა ყოველგვარი მიჯნები ამ ფენებს შორის, რითაც მკვიდრდებოდა გათანაბრებული, სრულიად ელიტარული საზოგადოება, თუმცა კლასობრივ ეგოიზმზე დაფუძნებულმა საბჭოეთმა საერთოობის ილუზიით შთაგონებულ საზოგადოებას მემკვიდრეობით გადასცა თავისი მუხტი, კომპლემენტარული ლიდერი ჯაჭვის სინთეზირებისას არასასურველი გენის – კლასობრივი/სოციალური დიფერენციაციის რედაქტირება არ მოხდა, რადგან ამის გარეშე იდეოლოგია კრახს განიცდიდა. იმავე გზას ადგას ხიდაშელიც, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულის განხორციელება უკვე საკუთარი სივრცის ნაწილში „მოუნდა“, რამაც, რა თქმა უნდა, ასახვა ჰპოვა ცნობიერში. მივიღეთ მასების არამყარი მდგომარეობა, მოულოდნელი აღზევება და დამხობა, ადამიანისაგან დაკარგული არა მარტო კუთვნილი საზოგადოებრივი იერარქიული ადგილები, არამედ ინდივიდუალური ყოფნაც ყოველივე კერძოსა თუ საკუთარის, რაც უერთდებოდა კოლექტიურ მთლიანობას, ე. წ. „კარნავალურ სხეულს“, სადაც ქმედებასა და მდგომარეობას შეუზღუდავად განაპირობებდა კარნავალში ჩართული ლატენტური ბრბო.

კოლექტიურ არაცნობიერში რეპრესირებული იდეოლოგიის მორჩილება მასის დამორჩილების ერთადერთი გზით – საკუთარი შესაძლებლობების ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური დემონსტრირებით, დაშინებით, მუქარით, შანტაჟით მიიღწევა, რომ ჩაკლულ ინდივიდში გაბატონდეს შიში ინტენსივობის გამოხატვის მრავალნაირი ფორმით. იგი ვითარდება განსაზღვრული და სრულიად სპეციფიკური ფიზიოლოგიური ცვლილებებისაგან, ექსპრესიული ქცევებისა და განცდებისაგან, რომლებიც გამომდინარეობს მუქარისა და საფრთხის მოლოდინისგან. ფსიქოლოგები შიშს განმარტავენ ყველაზე უარყოფით ემოციად, რომელიც ემუქრება პიროვნებას, მის ღირსებას, მიზნებს, პრინციპებს. შიშის ბუნებრივ აქტივატორს მარტოობა წარმოადგენს. მარტოდ დარჩენილი ადამიანი გრძნობს თავისი უსაფრთხოებისადმი მიმართულ მუქარას, რისი ერთადერთი სტიმულატორი გაქცევაა.

აშკარად გამოხატული ძლიერი შიშის განცდა არ ჰქონია თამაზ იაშვილს. ყოველ შემთხვევაში, არ შეშინებია ეყიდა ის სახლი, რომელშიც ორმა ადამიანმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თავი ჩამოიხრჩო, თუმცა მისი არაცნობიერის დაფარული შრეები აუცილებლად შეინახავდა ამ საშინელი ისტორიების სიგნალებს, რაც გამოიხატა მისგანაც იმავე ნაბიჯის გადადგმის მცდელობაში – თამაზ იაშვილმა თავის ჩამოხრჩობა განიზრახა. მას, ყველასათვის „უცხოს“, არ აწუხებს მარტოობის განცდა, რადგან სიცარიელეს ნიჟარაძე ავსებს, ვისი გამოჩენის დღიდან მისთვის მარტოობის შიში კონსერვირდა, სხვა უხილავი შიში კი (სიყვარულში უარყოფა) ყოველთვის ასდევნებოდა მის სულს, როგორც შფოთვა და საგანგაშო წინათგრძნობა. ეს არა მარტო პიროვნული არაცნობიერის კომპლექსები უნდა ყოფილიყო, არამედ კოლექტიური ბნელი შრეებიდან წამოსული იმპულსები, მაღალი ზნეობრივი განცდების ნიველირება, რომელთა არსებობას მკითხველი გ. ფანჯიკიძის ყველა პერსონაჟში გრძნობს, თუმცა მათი შინაარსები მეპატრონისათვის უცხოა. სახელმწიფო დიქტატი ადამიანის სულიერ სამყაროს შლის, ანადგურებს, ყოფითი რეალობიდან დევნის ყველაფერს რაციონალურს და ერთგანზომილებიანი სივრცე ადამიანის აზროვნების მასშტაბებს ამცირებს. ამ დროს, რაც არ უნდა დიდი იყოს პიროვნება, იგი შეუმჩნეველ არსებად იქცევა. ასე მოხდა იაშვილის შემთხვევაშიც: კათედრის გამგის კაბინეტში პროფესორები შეკრებილიყვნენ. დაფაზე ამოუხსნელი განტოლება იყო დაწერილი, რადგან შეცდომა გაჰპარვოდათ და ვერავინ ხვდებოდა, ან კი ვინ იტყოდა, რომ იქ შეცდომა იქნა დაშვებული. იაშვილის მახვილმა თვალმა ის თავიდანვე აღმოაჩინა, თუმცა მანაც არაფერი თქვა, მხოლოდ სამსახურიდან გაშვებასთან დაკავშირებით განცხადების „ნებაყოფილობით“ დაწერის შემდეგ „მცდარი პასუხი წაშალა, სწორი მიაწერა და გარეთ გავიდა“ (ფანჯიკიძე 1986: 429). პასიურად გამოხატული პროტესტი ვერ ახერხებს მკითხველში გააჩინოს აღფრთოვანების განცდა, რადგან პერსონაჟის არარაობით მოცული ცნობიერი პიროვნულ შინაარსებს ნაკლებად აძლევს რეალიზების საშუალებას.

რაც შეეხება ამ რომანის მეორე გმირს, ნიჟარაძეს, იგი აბსოლუტურად საპირისპირო პოლუსია თავისი მეგობრისა, ცნობიერი-არაცნობიერი